რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. ერთის თვისა. . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ'უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გაზეთისა გამოვა ოთხშაბათს, 28 დეკემბერს.

მიიღება ხელის-მოწერა
მომავალს 1884 წლისათვის გაზეთს
დროებაზედ
(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.
თელავში, ვანო როსტომაშვილთან.
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.
ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.
გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---|---|
| წლით (12 თვით) — — 9 მან. | 6 თვით — — 5 მან. |
| 11 თვით — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — 8 მან. | 4 თვით — — 4 მან. |
| 9 თვით — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — 3 მან. |
| 8 თვით — — 7 მან. | 2 თვით — — 2 მან. |
| 7 თვით — — 6 მან. | 1 თვით — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

6 იანვარს, 1884 წ.
სათავად-აზნაურო სკოლის გამგე კომიტეტისაგან იქნება გამართული თბილისის «კრუჟოკის დარბაზში»
ბალი
სკოლის სასარგებლოდ. ქალებს შეუძლიანთ დასწრონ გულ-შეკრული კაბებითაც.
ბალი დაიწყობა საღამოს ცხრა საათიდამ. ფასი ბილეთებისა 2 მან. ბილეთების ყიდვა შეიძლება მაკერდოვის სააგენტოში და თვით «კრუჟოკში».

«დროების» ფელეტონი, 25 დეკემბ.

### ქრისტეს-შობა

შობა! შობა ახლოს არის,
მოვემზადოთ—აწი დროა...
ოცდა-ხუთსა ამა თვისას
ქრისტე მოვა, ქრისტე მოვა!

* * *

როცა ხალხი მთლად გაირყვნა,
თვით ბუნებას უწყეს გმობა,
მაშინ ბეთლემს ერთ ქალწულმა
ქრისტე შობა, ქრისტე შობა!

—

ქრისტე-ღმერთმა, ხალხის მხსნელმა,
მოგვიტანა სჯული, სწავლა;
ჩვენის ცოდვის მეოხებით
თვით ჯვარს ეცვა და ეწვალა.

—

ჯვარს-ცმითა და წვალებითა
მოგვანიჭა შვება, ლხენა....
ახალ სწავლით უმეცრება
დათრგუნა და შეაჩვენა.

—

ამიტომაც ქრისტეს-შობას
უქმობს მისი მიმდევარი;
ამ დღეს ყველა დღესასწაულობს,
ქრისტიანი ვინც კი არი.

—

შობა! ჩვენცა მოვემზადოთ...
მოვილხინოთ, ვით რიგია.
ქრისტეს-შობას თაყვანი ვსცეთ;
ჩვენი მხსნელი კვლავ იგია.

კოროლოხა.

16 დეკემბერი.

### საგლეხო ბანკები

თბილისი, 25 დეკემბერს.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხ-კაცებს შეახვედრეს მიწა; ამ მიწას რუსებიც და ქართველებიც «ნადელს», ეძახიან და თუმცა «ნადელში» ანუ ნახვედრ მიწაში გლეხ-კაცი მებატონეს მეოთხედს აძლევს შემოსავლისას, როგორც ხშირად თვით მებატონის სრულს საკუთრება-მიწაშიაც, მაგრამ მებატონეს არა აქვს ნება «ნახვედრი» გაჰყიდოს ან თავისუფლებაში იქონიოს. გლეხ-კაცობა ვალდებულია, რომ დანიშნულ ვადის შემდეგ ნახვედრი მიწა შეისყიდოს და სრულ საკუთრებად გადაიქციოს. ამ საქმეში შველის მას ერთი დაწესებულება, რომელსაც «მამულების შესყიდვის დაწესებულება» ჰქვიან. ეს დაწესებულება სესხად აძლევს ფულს გლეხ-კაცს მებატონისათვის ჩასაბარებლად და გლეხ-კაცი ამ ფულის სარგებელსა და თავენს ნელ-ნელა იხდის ყოველ წლივ გარდაწყვეტილი გარდასახადის შეტანით. ასე რომ რამდენიმე წლის შემდეგ გლეხ-კაცი ნახვედრი მიწისა სრული მეპატრონე შეიქნება და არც გადასახადი ექნება რამე დადებული ამ მიწის შეძენისათვის.

ამ გვარივე დაწესებულებაა საგლეხო ბანკი, იმ განსხვავებით რომ «მამულების შესყიდვის დაწესებულება» შეეხება მხოლოდ ნახვედრ მიწებს და საგლეხო ბანკები ყოველსავე მამულს, რომელიც კი გასასყიდად დანიშნული იქნება. ნახვედრი მიწა გლეხებს ალარა ჰყოფნით; პირველში წესი ისე იყო, რომ თითო კომლისათვის ათი დღის მამული შეეხვედრებინათ, მაგრამ ბევრგან, სივიწროისა გამო, ეს წესი დაირღვა და იქაც კი, სადაც სრული «ნახვედრი» მიეცათ გლეხებს, თანდა-თან ეს მიწა დაიყო წვრილ-წვრილ ნაწილად ოჯახის გამრავლების კვალობაზედ. ამ გვარად ცხადად დამტკიცდა, რომ გლეხ-კაცობის მდგომარეობას რაიმე შველა ეჭირვება და სწორედ გაჭირების ტალ-კვესსავით გაჩნდენ საგლეხო ბანკები, რომელნიც გლეხ-კაცების ხელში მიწის გადასვლას აადვილებენ.

ვსთქვათ რომელსამე მხარეს მამულია გასასყიდი და მთელ სოფელს, ან რომელსამე გლეხ-კაცს უნდა ეს მამული შეიძინოს. თუ სადმე ახლო საგლეხო ბანკი არსებობს და ამ ბანკში დაგირავება გაძნელებული არ არის, გლეხ-კაცი იღებს ვალს ბანკიდამ, აძლევს მეპატრონეს ამ ფულს, უმატებს

### კვირის საუბარი

ბ. თურმანიძე თემიდის ტაძარში.—სამშობლო სურათები.—მივარდნილი კუნჭული და მომრიგებელი შუამავალი.—კიდევ და კიდევ ბ. ბალდოევი.—სოხუმი და ოზურგეთი.

გამოჩენილმა რუსეთის დედოფალმა, დიდმა ეკატერინემ, წარმოსთქვა დაუვიწყარი და უმაღლესის კაცთ მოყვარეობის აფორიზმი: «სჯობს სამართალმა თორმეტს დამნაშავეს აპატიოს ბოროტ-მოქმედება, ვიდრე უდანაშაულოდ ერთი ადამიანი დასაჯოსო.» დიდი ეკატერინეს შემდეგ, მგონი, ერთი მსაჯული არა ყოფილა ვრცელის რუსეთის ზურგზედა, რომ თავის სიცოცხლეში ათასჯერ მაინც არ გაემეორებინოს ზემოხსენებული აფორიზმი. მაგრამ იმავე ვრცელ ტერიტორიაზედ, მგონი, ბევრი არ მოიპოვებოდეს ისეთი, რომ ეს ბრძნული აფორიზმი შეადგენდეს მისს სახელმძღვანელოს თვითონ პრაქტიკაში, როცა საქმე საქმეზედ მიმდგარა.

მაინც ასეთია კაცის გული. იმასა აქვს სიმპატია ყოველს სიკეთისადმი, უკეთუ ეს სიმპატია არა სდებს მას ვალად კეთილი აზრის განხორციელებას თვით საქმეში. აბა, ეს განხორციელებაა ძნელი, თორემ ბრძნულსა და ჭკვიანს აზრს რატომაც არ ვიტყვი, თუ კი შემიძლიან, და ან რატომ სხვისაგან არ მოვისმენ, თუ კი ვისმეს ექნება ხალისი უქრთამოდ, უსასყიდლოდ მიამბოს რამგულის გასაყოლებელი.

ამიტომაც არის, რომ დიდი ეკატერინეს ანდერძი ჩვენთა სასამართლოთადმი დარჩა მხოლოდ მეხსიერების ზედა-პირზედ, მაშინ როდესაც ამ ანდერძს ჰქონდა სრული უფლება გამხდარიყო საძირკვლად სამართლის წარმოებისა.

მაგრამ ესეც კი უნდა თქვას კაცმა, რომ ძალიან თავის-სამტვრევია უტყუარი, მართალი საბუთების ძიება, მეტადრე სისხლის საქმეებში. ახლა, მართლაც, ყველა საქმეს ხომ ძირამდის ვერ გაჰქექამ-და! ძმებ, საღამდისაც კი ძებნა არ შეგალონებს, არ მოგაბეზრებს თავსა. მოგწყინდება კიდევ-და, შესდგები სადმე, დაუსვამ წერტილს და იკმარებ მითი, რასაც შენი კეთილი ფიქრი გაკმარებს და გაძლევს ნებას, რომ ესა და ეს საქმე ნამდვილ, დამტკიცებულ დანაშაულობად იცნო.

აი, საცოდავი თურმანიძის საქმისა არ იყოს. მგონი, ქართველ მკითხველებში ერთიც არ მოიპოვება ისეთი, ვისაც არ გაეგოს გამოჩენილი თურმანიძის ქება და არ იცოდეს, თუ რითი მოიხვეჭა ამ კაცმა თავისი მართლა განთქმული სახელი. იგი იყო სწორედ შესანიშნავი ხირურგი. ბევრი ნასწავლი დოქტორისთვის გამოუვლია პირში ჩალა, ბევრი განთქმულთა ექიმთა კონსილიუმი გაუცრუვებია იმ მადლიან კაცსა, და იქ, სადაც სიბრძნითა და სწავლით გაჭედილს თავებს გაუმწესებიათ საცოდავი პაციენტები აბრაამის წიაღთა ღირსად, იქ თურმანიძეს ფეხზედ დაუყენებია განწირული და მოგლოვილი ავად-მყოფი.

დღეს თურმანიძე თითონ ჩავარდა ისეთ გარემოებაში, რომ მისი ფეხზედ წამოყენება თითქმის საეჭვო გახდა. რაკი განსვენებულმა დესპინე ერისთავისამ მუცელი წაიხდინა და სიკვდილის წინ თურმანიძეს მიჰმართა, ამიტომ უეჭველად ეს «აზიელი ექიმი» იყო მისი მკვლელი, უთუოდ იმან წაუხდინა მუცელიო. ამისთანა დასკვნას, სხვათა საოცართა საბუთთა შორის, აფუძნებენ ბ. ქუთაისის პოლიცმეისტრის ჩვენებაზედ, რომელიც ამბობს, რომ იმას წინადაც გაუგონია, ვითომც თურმანიძე მისდევდა ასეთს ხელობასაო, «რადგან ფულის მოყვარე კაცი არის ეგაო». ნეტავი იცოდეს კაცმა, იპოვება ჩვენს სახელმწიფოში ისეთი პოლიცმეისტერი, ვისაც არ უყვარდეს ფულები, და ამიტომ განა ყოველი ვერცხლის მოყვარე უთუოდ მუცლის წახდენას მისდევს თავის ცხოვრებაში და მითი იკლავს ფულების სურვილს?..

მაგრამ, როგორცა ვსთქვით, ყველა საქმის საძირკვლამდის ხომ ვერ ჩახვალ, ნამდვილ საბუთებს ხომ ვერ გადააკვდები და, ამის გულისთვის, მაინცა და მაინც უეჭველად ხომ ვერ

თავისუმხრივაც რამოდენიმე ნაწილს, რადგან ბანკი სრულს საფასურს არ მისცემს და ამ გვარად გლეხი შეიქნება მამულის პატრონი და ეს მამული მხოლოდ მაშინ დაეკარგება, თუ დროზედ და დროზედ გარდასახადი არ შეიტანა ბანკში; მაგრამ თუ ვადაზედ შეტანით გადასწყვიტა სარგებელიც და თავნიც, დანიშნულ დროს შემდეგ სრული მოსაკუთრე შეიქნება.

რუსეთის საგლეხო ბანკებს ჯერ ბევრი სარგებლობა არა მოუტანიათ-რა. ერთის წლის განმავლობაში გაიცა მხოლოდ ორ მილიონამდე, თითონ გლეხებმა **227,000** მანათი მისცეს და **15,500** სულმა ამ ბანკების შემწეობით **40,000** დესიატინა შეისყიდა.

თუმცა ამ ბანკების ძირითადი თანხისათვის მთავრობამ მხოლოდ ექვსი მილიონი გადასდვა, მაგრამ, თუ მათი საქმე კარგად წავიდა, ფინანსთა სამინისტროს შეუძლიან იშუამდგომლოს, რომ ამ ფულს კიდევ რამდენიმე მილიონი მიემატოს.

მთავრობა მოწადინებულია რომ ეს საქმე კარგად წავიდეს; როგორც შემდეგში ვნახავთ, გლეხ-კაცობა ეცდება ყოველის ღონის-ძიებით რომ დროზედ შეიტანოს ხოლმე გადასახადი, თერთმეტი განყოფილება კიდეც დაარსდა ამ ბანკებისა რუსეთში, ზოგი სახელმწიფო ბანკის განყოფილებებთან, ზოგი ცალკე,—და რადა უშლის ამ საქმის ჯეროვანს საფუძველზე დაყენებას.

უშლის ზოგან და ზოგან ის, რომ საქმის გამგენი გულ-გრილად ეკიდებიან, თავიანთ მოვალეობას და ამისთანა ცხოველსა და საჭირო საქმეში უნდათ მარტო მიწერილობა-მოწერილობაზე გადაიარონ. ეს თვისება უფრო თვალსაჩინოდ ეტყობა იმ განყოფილებებს, რომელნიც სახელმწიფო ბანკთან არიან გახსნილნი; აქ ბევრგან ჯერ ერთი სესხიც არ გაცემულა და ერთის განყოფილებაში თურმე კაცი არ აღმოჩნდა, რომ ერთის გლეხ-კაცის მამული სპეციალურად დაეფასებინა.

სამაგიეროდ, სადაც კი ერობა იღებს მონაწილეობას, იქ ბანკები უფრო ცხოველს საქმეს შეადგენენ და სესხი სესხს მისდევს. ზოგან ერობათა ითხოვეს, რომ საადგილო-მამულო ბანკებში დარჩენილი გაუყიდავი მამულები გადაეცეს საგლეხო ბანკებს გლეხებისათვის დასარიგებლად. ამ განყოფილებებში საქმის გამგეთ თვითონ საქმისათვის შესტკივათ გული და შეუძლიანთ თვალ-ყური დაიჭირონ იმაზედაც რომ «სოფლიჭამიაებმა» არ ჩაიგდონ მარტო მამული და ბანკი ახალ დასაჩაგრავ საშუალებად არ გადააქციონ. ამ გვარ შემთხვევაში თითონ ერობანივე მონახვენ რაიმე წამალს და პრაქტიკით ჩაგონებულნი საქმეს სასურველს მიმართულებას მისცემენ.

ახლა გავსინჯოთ, თუ როგორ შეიძლება ამ საქმის ჩვენს ქვეყანაში გადმოღება და თუ გლეხ-კაცობა საადგილ-მამულო ბანკების მოვალე გახდა, საშიშს მდგომარეობაში ჩაცვივიან ეს უკანასკნელნი თუ არა?

## შინაური ქრონიკა

— თბილისიდამ პირველ სტანციაზე მოკლული რკინის გზაზე მოსამსახურე პირი გამოდგა თაქლაში მცხოვრები ალი ნამაზ-ოღლი, ოცი-წლის ბიჭი. მისი მკვლელი უთუოდ ყიზილბაში მირზახან მაშადი-რუსტამ-ოღლი, რომელიც ნამაზ-ოღლის კარგად იცნობდა თურმე და ხშირად მის საყარაულო ბუდკაში ღამეც გაუთევია; იმ დღეს ნამაზ-ოღლის თავისი მცირე ჯამაგირი თვრამეტი მანათი აუღია და ამ თვრამეტ მანათს წაუქეზებია იმის ნაცნობი კაცის მოსაკვლელად. მოკლულს თურმე ცამეტი ჭრილობა ჰქონდა ხანჯლით. მკვლელი იმ დღესვე დაუჭერიათ.

— იქნება მკითხველმა არც კი იცოდეს, რომ ჩვენს ქალაქში არსებობს ირიგაციის (რწყვის) კომისია, რომელმაც ამ დღეებში გაათავა სხდომები და თავისი შრომა ჯეროვანის სადილით დააგვირგვინა. თუმცა გაზეთებში აქა-იქ გაბნეული იყო ცნობები, თუ რა გააკეთა ამ კომისიამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, რის გაკეთებას აპირებს, მაგრამ დალაგებით არავინ რა იცის იმის მოქმედებისა, გარდა თითონ კომისიის წევრთა,—ზოგნი ამაშიაც კი ეჭვს აცხადებენ. მაგრამ სამაგიეროდ «კავკაზში» დაწვრილებით არის ნაამბობი იმ ჩინებულის სადილის ამბავი: თუ რა და რა საჭმელები იყო სადილზედ, ვინ ამოირჩიეს ტოლუმბაშად, ტოლუმბაშობით ერთი რომ მოილალა, რომელმა იკისრა ეს მძიმე ტვირთი და ხელთ იპყრა კვერთხი მბრძანებლობისა, ვისი და ვისი სადღეგრძელოები მიირთვეს. ბოლოს «კავკაზის» მკითხველების გასაწვრთნელად დაწვრილებით მოყვანილია ირიგაციის შესაფერი სიტყვა ერთ-ერთის ენა-წყლიანის წევრისა, რომლის წერილებმა ლამის მთლად წალეკონ გაზეთი «კავკაზი», მაგრამ რომელთ ბეჭდვასაც ბედკრული «კავკაზის» რედაქცია საჭიროდ ჰხადის (კალამბური არ გეგონოთ) მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა.

— სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტი წვეულებისამებრ მართავს მომავალ იანვრის მექვსს თავის «ნათლისღების ბალს», რომელმაც ისე შეაყვარა თავი და ისე შეიჩვია მთელი თბილისის უმაღლესი საზოგადოება. თქმა არ უნდა რომ ეხლაც დიდ ძალი ხალხი დაესწრება ამ ბალზედ და კვლავინდებურად მხიარულად გაატარებს დროსა; როგორც შ-

---

გაახორციელებ დიდი ეკატერინეს აფორიზმს, რომელიც გირჩევს სიფთხილეს! ნამეტანი გაფთხილებაც არ ვარგა—რას იტყვიან? უველას ამართლებენო...

⁂

ასეთი ცილის-წამების შიშიც რომ არ იყოს, მოდი შენა და გაფთხილდი. როდემდისა და სადამდის! რამდენი დღე გადის, იმდენი სულ უკანა და უკან ვიწევთ... არა, უკაცრაოდ... უკან კი არა, იმდენი წარმატებაში შევდივართ და ვუახლოვდებით იმ ბედნიერ დროს, როცა კაცმა პირველად გაარჩია თავისი თავი დანარჩენ პირუტყვებისაგანა და მხეცებისაგან. მაინც განსვენებული ჟან-ჟაკ რუსო იძახოდა, რომაო კაცობრიობის ცივილიზაციამ გარყვნა ადამიანის ბუნებითი უმანკოებაო, ისევ ველური მდგომარეობა სჯობია კაცთა ნათესაობის ბედნიერებისთვისაო. თუ გაუგონარმა ფრანცუზებმა არ უსმინეს ჟან-ჟაკ რუსოს ქადაგებას და, თითქო დამშეულები არიანო, უფრო მომეტებული ენერგიით დაეწაფნენ განათლების სუფთა ნაკადულს,—დეე, ჯანი და სული წაუღიდეთ იმ ვიღაცა თავხედ ფრანცუზებს!.. ჩვენ ხომ მაინც ჰკვიანები ვართ და წინ არ აღვუდგებით არავის, ვისაც კი ჩვენი კეთილისყოფნა სწადიან და გვიკვლევს გზას იქითკენ, სადაც ჩვენ ვიგრძნობთ სრულს ბუნებითს მდგომარეობას, სადაც აღარ იქნება: არც ერთმანეთზედ დამოკიდებულება, არც რისიმე და ვისიმე მორიდება, არც რაღაცა ზნეობითი ალვირი, არც ერთი და არც მეორე; სადაც ვიცხოვრებთ ისრე, როგორაც სცხოვრობენ ფრინველნი ცისანი, თევზნი ზღვისანი და მხეცნი ველისა ანუ ტყისანი...

ამ რამდენიმე წლის წინად, ორს-სამს წელიწადში ერთხელ ძლივს მიაღწევდა ჩვენში ვინმე დამნაშავე იმ წერტილამდის, როცა მისი თავი უნდა გამხდარიყო ღირსი სახრჩობელისა. ბოლოს დროს კი, გამოჩენილთა დამნაშავეთა რაზმმა იმატა შესამჩნევად. თითქმის წელიწადი არ გადის, რომ ავაზაკმა სული არ ანთხიოს სახრჩობელაზედ. ამ უკანასკნელს ორ წელს ხომ საყვედური აღარა ეთქმისრა. თუ შარშან თბილისში სამი კაცი ერთად ჩამოახრჩეს, წელს კიდევ აგერ შუშაში ოთხი ერთად დაისაჯა ამ გვარად. ერთიც ქავკავში!

თანაც რომ არ დაიზაროთ და თვალ-ყური ადევნოთ ჩვენის ცხოვრების მატიანეს, დაინახავთ, რომ ავაზაკთა რიცხვი დღითი-დღე იზდება, მრავლდება ჩვენში.

მარტო ამ ერთი კვირის განმავლობაში რაც მომხდარა, ის რომ იქონიოთ სახეში, სწორედ კმარა, რომ არ დავკარგოთ იმედი უეჭველის წარმატებისა.

უვირილაში ისეთი ბობოლა ავაზაკები აღმოჩნდენო, რომ ვერც კი წარმოიდგენთ სხვა ადგილში მცხოვრებნიო. ცარცვა-გლეჯა, კაცის-კვლა ხომ თავის კვალობაზედ მიდისო, მაგრამ თანაც ავაზაკებმა იხერხეს და აქაური კანცელარიიდგან მოიპარეს გამომძიებლის ნაწარმოები საქმეებიო.

ართვინიდამ, გეხსომებათ, იწერებოდენ, რომ არდანუჯის ახლო ხუთი ვაჭარი ერთად მოჰკლეს ავაზაკებმა და გაიქცნენო.

არც ყელ-მოღერებული, მუდამ ლამაზი და ზდილობიანი თელავი, ჩვენი ქვეყნის თვალის-ჩინი, ჩამოუვარდება სხვა ადგილებს. იქაური ავაზაკები ჰხოცავენ, ვინც კი ხელთ მოხვდებათ. აქაო, გვეუბნებიან, მოხუცებული კნეინა ვახვახოვისა მოჰკლესო, იქ ვიღაც ართანელი გლეხი გადააბრუნესო, სიცოცხლე მოხსნეს ზურგიდგან, რაკი ამძიმებდა მას იგიო, სიცოცხლეო, და გაამგზავრეს საუკუნე განსვენების მოედნისკენაო. სხვადასხვა გვარი ავ-კაცობაც ბლომად გახლავთო, მაგრამ სად ჩამოგითვალოთო! მართლაც და სად უნდა თვალონ, ან ვისა სცალიან აგეთი ანგარიშისათვის! მხოლოდ იმას კი გვიცნობებენ, რომ გამოჩენილი ლალის-ყურის ეკლესიაც გაუცარცვიათ ავაზაკებს, რომელნიც, მგონი, გძელ კაბებში ყოფილან ამოცმულნი. ეს რომ არც კი შეეტყობინებინათ ჩვენთვის, ისეც ვიცოდით, რომ ჩვენებური ეკლესიების გაცარცვა მოვალეობად გაიხადეს გრძელ-კაბიანმა ავაზაკებმა. თურმე ახალი ხერხი მოუგონებიათ ამ შერჩენებულებს: ჩაიცვამენ ადგილობრივი მღვდლების მოპარულს ანაფორებს, ვითომ ეჭვი არავინ აიღოსო, შედიან ეკლესიებში, იღებენ, რაც კი ღირს წასაღებად, მერე გამოვლენ, გაიხდიან ამ საცმელებს, მიუყრიან თავის პატრონებს და მიაქვთ მამა-პაპეული განძი თავის სასარგებლოდ...

კიდევ გინდათ საიდანმე ამ გვარი «სამშობლოო სურათები»?! მე კი მომწყინდა და ვისაც ხალისი გაქვსთ, ღმერთი მოგცემთ. მე მხოლოდ ჩემი აზრი მინდოდა დამემტკიცებინა, რომ მალე, ძალიან მალე მივაღწევთ ამოღებულს ნიშანს, სადაც განქარწყლდებიან შემავიწროებელი ზნეობითი მოთხოვნილებანი და სადაც ბურთი და მოედანი დარჩება სანავარდოდ სხვადასხვა სანატრელთა ველურ თვისებათა.

⁂

ეს ყველაფერი ხომ მართალია, მაგრამ არც ის გახლავსთ ტყუილი, რომ ჩვენი დალოცვილი ჟიზიყი, რომელიც ასე განთქმულია თავისი ხმა-მაღალიანებით,—ჩვენი ჟიზიყი შეადგენს საქართველოს ბედნიერს კუნჭულს. ის კი ჯერ არავის გამოუკვლევია, თუ ხსენებული კუნჭული იმიტომ არის ბედნიერი, რომ იქ მომრიგებელ შუამავლად თ. ანდრონიკაშვილი ბძანდება გამწესებული, თუ თითონ ეს უკანასკნელია ბედნიერი იმიტომ, რომ ბედნიერ კუნჭულშია გამწესებული.

როგორც ატყობთ, ამ ფრიად საცნობს კითხვას რომ გამოუდგეთ, ძალიან შორს წავალთ, და იქნება საშუალ-საუკუნოების ბრძენთა საქმეც დაგვემართოს, რომელნიც თავებს იმტვრევდენ—«ჯერ ქათამი იყოო და იმან კვერცხი დასდვაო, თუ ჯერ კვერცხი იყო და იქიდამ გამოიჩეკა ქათამიო,—ანუ ჯერ ძაღლი გააჩინეს და მერე კუდი მოაბესო, თუ ჯერ კუდი გააკეთეს და მერე ზედ ძაღლი მოაბესო. ამ გვარი საფილოსოფოსო კითხვები, როგორაც

კრტუთ, ბალის მასპინძლად იქნება უგანათლებულესი კნ. თამარ დავითის ასული გრუზინსკისა.

ტერმინოლოგიის კრებამ დაასრულა გეომეტრიის ტერმინები და მომავალ ხუთშაბათს, 29 დეკემბერს, ფიზიკის ტერმინების თარგმნას შეუდგებიან. ეს კრებები ამას იქით ყოველ ხუთშაბათს იქნება «დროების» რედაქციის ზალაში, საღამოს შვიდი საათიდამ დაწყებული, ასე რომ ცალ ცალკე ხუთშაბათობით გამოცხადებას საჭიროდ აღარ ვხედავთ.

## «დროების» კორესპონდენცია.

—

**ზემო-ჭალა-ხაშური, 19 ქრისტეშობისთვე.** დღეს პატარისა თუ დიდის ყურადღება სახემწიფო და საზოგადო გარდასახადებზეა მიქცეული. მართლაც და ეს მოვლენა ისეთი ღირს შესანიშნავია, რომ ყველა გლეხის ცხოვრების დამკვირვებელის კალამს არ უნდა ავიწყდებოდეს იგი. სისტემა აკრეფვისა, თვით აკრეფვა და აკრეფვის დროს მოხელეების ოინები ისეთი დამოკიდებულობითი ნასკვით არიან გადაბმული ჩვენი გლეხების ეკონომიურ მდგომარეობასთან, მით ზნეობით მხარეებთან...

შორს რომ არ წავიდეთ ფაქტების სამზნელად ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, მოვიგონოთ ჩვენებური მოხელეების წრევანდელი ოინები. გლეხები (მდიდრების გარდა, რასაკვირველია) თხოულობდენ, ყოველი გადასახადი ფული უნდა შეძლებისა და გვარად გაიწეროსო, ჩვენმა ზემო-ჭალის საზოგადოების მამასახლისმა (ნაცვლიშვილმა) არ მიაქცია ყურადღება ამ ჭკვიანურ საზოგადოების სურვილს და მდიდრების სიმპატიის მოპოებისთვის ეს საზოგადო სურვილი ანაცვალა პიროვნულ სურვილებს.

საზოგადოება ითხოვდა—ფული გაეწერინებინა ისეთი კაცისთვის, რომელსაც ხალხის ჭირი ჭირად მიაჩნდეს და სიხარული სახარულად, მაგრამ გაწერა ჩააბარეს ისევ საზოგადოებისგან მოძულებულ პ. მ—მეს, რომელმაც შარშანაც «შეხოხნა» შვიდი თუმანი სოფლისა და დღესაც იკარგება. ნეტა მწერალი რად უნდათ, თუ იმას არ გააწერინებენ ფულს, მაგრამ ეს სულ მოხელეების საიდუმლო «შეთქმულობის» ბრალია... ხალხი თხოულობს: ფოსტის და სკოლის გადასახადთან ერთად სხვა გადასახადებს ნუ ურევთო. არ იქნა: სკოლის და ფოსტის ფულებს უმატებენ ხოლმე იასაულის, მწერლის და სხ. გადასახადებს და უმძიმებენ გადასახადს. ამიტომაც არის, რომ ერთს ოთხ-თუმნიანი ხარი ექვს მანეთად გააყიდვინეს, სხვებს ზოგი ძროხა, ბატები, იხვები და სხ., მეორემ სილა მიიღო მამასახლისის თანაშემწე ვ—მისაგან; ერთმა იასაულმა ზებერი დედა-კაცი საზიარებლად გახადა და სხ... მოხელეების ამ გვარ მოქმედებასაც თავისი აზრი აქვს: სკოლისა და ფოსტის გადასახადი ცხადია ყველასთვის: აქ ფულების «აწაპნა» ძნელია, სხვა გადასახადებთან შეერთებულ ფულს კი გამოჰგლეჯენ რასმე.

ჭო-ჭო-ლა.

**P. S.** ვთხოვ ჩვენ მამასახლისს შეგვატყობინოს: რა იქნა ის ფული, რომელიც შარშან შეცდომით გადაჰხდა ჩვენებურებს გორიდგან გამოგზავნილი «ფორმის» ძალით და რომელიც შემდეგ დაბრუნებული იყო უკან, რადგანაც უკანონოდ აღმოჩნდა მისი გადახდა. ეს ფული ბლომა ჯამს შეადგენს და სახელად «საზოგადო ფული» ჰქვიან; ეს ნუ ავიწყდებათ ჩვენ «პატიოსან» მოხელეებს.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ თბილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიიდგან რამდენიმე ყმაწვილი მოსწავლე დაითხოვეს იმ მიზეზით, რომ, თავიანთ სიღარიბის გამო, ვერ შეიტანეს სასწავლებელი ფული; თუმცა რამდენთამე პირთა თხოვნით იგინი ისევ მიიღეს დროებით გიმნაზიაში, მაგრამ მაინც დღეს არის თუ ხვალ, ისევე ის ხვედრი მოელით ამ უნუგეშოთა. ზვინ[illegible] წარმოდგენა გაგვემართა მათთვის ქართულს ენაზედ, მაგრამ არ მოხერხდა «ბილეთების გაუყიდველობის გამო». ამავე საქმისათვის დეკემბრის 28-ს ბალი არის კლუბის ზალაში დანიშნული ლოტერეით კნეინა ბარბარე ბარათაშვილის თაოსნობით და იმედი გვაქვს ეხლა მაინც ჩვენი საზოგადოება გულმხურვალედ მოეკიდება საქმეს და ამითი თითონაც ისიამოვნებს და რამდენსამე ღარიბ მოსწავლესაც მისცემს ღონის-ძიებას სწავლის გაგძელებისათვის.

ი. გერსელიძე.

## რუსეთი

—

ქალაქს ყაზანში მომხდარა ერთი ფრიად ახირებული ამბავი, რომელიც მოყვანილია გაზეთს «Рускій Курьеръ»-ში. აი საქმე რაშია: ყაზანის გუბერნიის ერობის კრებამ ისურვა და დაადგინა პანაშვიდით მოხსენება პომელევისა და პორფისა, რომლებიც ცნობილნი არიან მთელს რუსეთში, როგორც შესანიშნავნი მოღვაწენი ერობის ასპარეზზე. სურვილი ყაზანის ერობის კრების წევრთა კანონიერი და სამართლიანია; მათ შეეძლოთ პანაშვიდით მოეხსენებინათ ყველანი, ვისაც მოხსენებასაც ისურ-

---

ცხოვრებით, ძალიან შორს წაგვიყვანენ. ამიტომ, რაკი ეხლავე ვიცით, რომ ქიზიყი ბედნიერი კუნჭულია და ამ კუთხეში გაუმწესებიათ მომრიგებელ შუამავლად ბედნიერი თ. ანდრონიკაშვილი,—ჰო, ამიტომ ორსავე თანაბარს საგანს ვუყუროთ ისრე, როგორც ბედნიერებს.

ქიზიყელი გლეხები ნეტარს ბედნიერებაში იმყოფებიან, რადგანაც თავადებთან უთანხმოებისაგამო შეუძლიათ პირ-და-პირ მომრიგებელს შუამავალს მიმართონ. ეს უკანასკნელიც ხელ-და-ხელ ასამართლებს. ისევ იმ თავადებისაკენ არა, რომელნიც ერთხელ იმავე გლეხების ბატონები და «პატრონები» იყვნენ! ისიც კარგი, რომ გასამართლებაში არა ეხარჯებათ რა გლეხებს. ესეც დიდი ღვთის წყალობაა, თქვენმა მზემ, ბ. ანდრონიკაშვილისაგან.

ნაკლებ ღვთის წყალობას არ შეადგენს აგრეთვე ისა, რომ ბ. ანდრონიკაშვილს გაუნთავისუფლებია მეჯი-სამ საწყალი გლეხები რაღაც უსამართლო ხარჯისაგან—თქვენი მოვალეობა არ არის, უთუოდ შეშა უზიდოთ თქვენს სკოლასაო. აი, დალოცა ღმერთმა კაი ადამიანი. მართლაც, თითქო სკოლისთვის უეჭველად საჭირო იყოს ზამთარში შეშა! თითქო გლეხი მოვალეა იზრუნოს თავის შვილების გათბობაზედ! გლეხი მაშ რის გლეხია, თუ ამისთანა სათავად-აზნაურო საქმეებზედ იზრუნებს!.. ერთი სიტყვით, ბედნიერება დუღს და გადმოდის ბ. ანდრონიკაშვილისაგან ქიზიყელებზედ და ამ უკანასკნელებისაგან პირველზედ. ღმერთო, შენითა! შენ გადმოჰხედე ქვეყნიერობას შენის მოწყალე თვალით!....

* *

ბ. ანდრონიკაშვილი თუ ოფიციალური წყარო, საიდამაც გამოსჩქეფს ქიზიყელი გლეხების ბედნიერება, ბ. ბალდოევი, ეს გაჭირების ტალკვესი, ისურის ბურჯულ-ბურჯულა ნაპერწკლებს, რითაც ცეცხლს უკიდებს კახელი თავად-აზნაურობის გადაჭარბებულ სარჩოს და, ამ სახით, როგორც კაი სანიტარი, დეზინფექციას უშვრება თავადების ჭირიან ჯიბეებს. ღმერთმა ხელი მოუმართოს! კახელი მემამულენი ჰკვათამყოფელი ხალხია და კარგად ესმისთ, რომ იქაური გამსესხებელი ამხანაგობა ბ. რ—შვილისა ვერ გაუწევს ასეთს სწრაფსა და თავგანწირულს სამსახურს იქაურ ქონებასა. წარმოიდგინეთ, ვილაც თ. ბ—ს გასჭირებია 30 თუმანი—ვის არ უჭირს აგეთი ფული—და უსესხნია ბ. ბალდოევისაგან ექვსი თვის ვადით. სარგებელი მიუცია სულ შვიდი თუმანი. წლის ვადით რომ აელო, თოთხმეტს თუმანს მისცემდა სარგებელს იმ თავითვე და ამიტომ ხელში მიიღებდა თექვსმეტს თუმანს. ორი წლის ვადით რომ აელო, მაშინ ოც-და-რვა თუმანი სარგებელი მოუვიდოდა ამ 30 თუმანზედ და ხელში მიიღებდა ორ თუმანს, თუ სამი წლის ვადით აელო, პირ-იქით თითონვე უნდა მიეცა თორმეტი თუმანი და სამი წლის შემდეგ კიდევ ოც-და-ათი თუმანი. მეტი სისწრაფე განა საჭიროა ჯიბეების დეზინფექციისათვის!.. ჰაჯან, ბიჭო!.. მაშინ როდესაც გამსესხებელი ამხანაგობა რ—შვილისა იმას წევრადაც ჩასთვლიდა და ნახევარი წლის სარგებელს დაუწერდა სულ 18 მანათს. მერე, რაკი თითონ ამხანაგად ჩაითვლებოდა, იქნება მოგებაცა რგებოდა ერთ თუმნამდის, მაშინ სულ შვიდ-რვა მანათს-ღა მისცემდა 30 თუმანში სარგებელს! სად შვიდი თუმანი და სად შვიდი მანათი! ამისთანა ბუჩულებზედ მერე სახელი უნდა გაეტეხნა თ. ბ—ს! დიალ, დიალ! მაშ რაღა უქნია! არა, შორს რაღაც პროლეტარიების მოგონილი «ამხანაგობავ»! შენთვის არა სცალიან კახელს მემამულესა. ისევ და ისევ სანიტარი ბალდოევი.. გაჭირების ტალკვესი?..

* *

ეს არის, ამ სოხუმს არა ეშველება. უნდათ იქაურებს რკინის-გზა, საშინლად უნდათ, მაგრამ არავინ უსმინა მათს განუზომელ სურვილს. ოზურგეთი კი არ მოდიოდა გულზედ, როცა ბათუმის შტო ოც-და-ათს ვერსტზე ახლდინეს, მაგრამ რას იზამდა რაღაც ფხუკიანი გურულების ქალაქი, როდესაც მთელი რკინის-გზების პოლიტიკა აშენებულია იმაზედ, რომ გაიარონ იქითკენ, სადაც უფრო ნაკლები მცხოვრებელნი არიან და ამიტომ სადაც უფრო ბლომად მოიძებნებიან გარეულნი მხეცნი და სხვა ბუნებითი სიმდიდრენი!.. როგორცა სჩანს, სოხუმი ჩაჰხვედრია ამ პოლიტიკას და, «ქისას გაიკარ ხელიო», იმისი არ იყოს, უნდა როგორმე გული დაულბოს გზების კამპანიას: ადგილსაც მუქთად დაგითმობთო, ხე-ტყესაც უფულოდ მოგცემთო, ქვა-ქვიშაც თქვენი ფეშქეში იყოსო, მუშა ხალხსაც უსასყიდლოდ განაცვალებთ, ოღონდ თქვენ მოიტანეთ რელსები და მაშინებიო და ერთი ჩვენს მიწა-წყალშიაც ააყვირეთ ეგ რაღაც საამური საშტვენავიო.

რაკი სურვილს ასეთი გულ-უხვობა ალუძვრია სოხუმელებში, უეჭველია, თითონვე რელსებსაც იშოვნიან, როცა უფრო მადაზედ მოვლენ, გზასაც გააწყობენ, გამართვენ, მაშინებსაც მოიტანენ და მერე, იქნება, რომელიმე კამპანიაც გამოჩნდეს იქამდის გულ-კეთილი და სულ-გრძელი, რომ იკისროს გაკეთებული გზის პატრონობა და მისგან შემოტანილი ფულებიც, ეგება, არ დაიწუნოს და იხმაროს თავისთვის!.. ნეტავი არ იქნება, ყველა ესე მოხდეს, მაგრამ... განა მართლა ასე საჭიროა სოხუმისთვის რკინის-გზა?!. კაცო, უწინ რომ არა გვქონდა გზები, შენი ჭირიმე, მორგვივით კისრების პატრონები ვერ ვიყავით, დიაღ!., ესეც მეორე კახეთი გაგვიხდა რაღაც გადავარდნილი სოხუმია!.. მაგრამ აბა რასა იქ, როგორ დააჩუმებ მადაზედ მოსულს, გაშმაგებულს ადამიანს.

Доз. ценз. Тифлисъ, 24 Декабря 18[illegible]

ვებდენ; საზოგადოდ არავის არა აქვს ნება დაუშალოს ადამიანს ლოცვა და უფლისადმი ვედრება; ყაზანელებიც არ იყვნენ მოკლებულნი ამ უფლებასა; იმათ შეუგნიათ დიდი მნიშვნელობა კოშელევისა და კორფისა რუსეთის ერობისათვის, ჯეროვანად დაუფასებიათ მათი მოღვაწეობა და შეძლებისამებრ მოუსურვებიათ მათი სახელისათვის პატივის-ცემა; ამისთვის მათ ჰქონდათ ჩვეულებრივი საშუალება, ე. ი. პანაშვიდი. რასაკვირველია, ყაზანელები ჰფიქრობდენ, რომ მათს განზრახვას არსაიდან დაბრკოლება არ აღმოუჩნდებოდა, რომ ყველანი, ვისაც კი სწავლა-განათლების და ერობის მნიშვნელობა და სარგებლობა შეუგნია, პატივისცემით მოიხსენიებდა კოშელევსა და კორფსა; ერთის სიტყვით, ყაზანელები ყოველის მხრით მართალნი იყვნენ; მაგრამ ზოგიერთა პირებს არ მოსწონებიათ გუბერნიის ერობის აზრი და სურვილი; ასე გასინჯეთ, თვით გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღომელი წინ აღუდგა ერობის მთელს კრებას და წარმოსთქვა, რომ კოშელევი და კორფი არ არიან ღირსნი თანაგრძნობისა და პატივის-ცემისა, რადგანაც იმათ დაამცირეს საკუთარი აზნაურობის ღირსება საზოგადო და საქვეყნო საქმისათვის სამსახურითო; განსვენებულთ კოშელევს და კორფს ბ. წინამძღომელი უსაყვედურებდა იმასა, რომ ისინი ემსახურებოდენ არა მარტო წოდებრივს ინტერესებსა, არამედ წოდებათა და პიროვნებათა განურჩევლად მთელს რუსეთს. ბ. წინამძღომელმა ისარგებლა თავმჯდომარის უფლებით და სხდომა შეაჩერა. საქმე ამით არ დაბოლოვდა: ცოტა ხნის შემდეგ ყაზანის გუბერნატორმა ოფიციალურად უარჰყო ერობის სურვილი და მისი დადგინება კანონიერად არა სცნო, რადგანაც კოშელევს და კორფს არ უმსახურიათ ყაზანის ერობაში; ამისათვის, გუბერნატორის აზრით, ყაზანის ერობას უფლება არა ჰქონდა განეხილა და დაეფასებინა კოშელევის და კორფის მნიშვნელობა-მოღვაწეობა. გუბერნატორის პროტესტმა დიდი მღელვარება და ბაასი ასტეხა ერობის შემდეგს კრებაში; პროტესტის მომხრე იყო მხოლოდ კრების თავმჯდომარე, ე. ი. თავად-აზნაურობის წინამძღომელი. წინააღმდეგ ამისა, ერობის ხმოსანთა უმეტესობამ განაცხადა, რომ არავის არა აქვს უფლება აღუკრძალოს ერობას ვისმესთვის თანაგრძნობის გამოცხადება ან და ასწავლოს მას, ვის უნდა სცეს პატივი და ვის არა.

— «მოსკოვის უწყებები» გვატყობინებენ, რომ გზათა სამინისტროში აღძრულია კითხვა შესახებ დაწყებითი სკოლების დაარსებისა რკინის გზებზე მოსამსახურეთა შვილებისათვის; ხსენებულ სკოლების დასაარსებლად და შესანახავად აზრათა აქვთ დაადგინონ გადასახადი, რომელიც რკინის გზებმა უნდა აძლიონ სკოლების სასარგებლოდ; გადასახადი გაწერილი იქნება თითო ვერსტზე.

— როგორც იწერებიან, ზოგიერთა წრეებში აღძრულია კითხვა შესახებ სტენოგრაფიის ვალდებულებითი სწავლებისა როგორც საშუალო, ისე სამხედრო სასწავლებლებში და კორპუსებში. განმარტებითი წერილი სტენოგრაფიის სწავლების სარგებლობაზე წარედგინება სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრებს.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

22 დეკემბერს.

ვიატკა. გუშინ ოლქის სამსჯავროში გაირჩა საქმე გადამდგარი მაიორის გალიცინისა, რომელსაც ბრალდებოდა ორი ცოლის შერთვა და ყალბი ქაღალდების შედგენა; ნაფიცთა მსაჯულთ გაამართლეს გალიცინი, რომელსაც მოულოდნელი სიხარულისაგან გული წაუვიდა.

ნიუ-იორკი. ბრაზილიის იმპერატორი ძალიან ავად გამხდარა.

პეტერბურგი. პეტერბურგის გუბერნიის ერობა შუამდგომლობს, რომ სოფლის საზოგადოებათ, პურის სამზადისის მაგივრად, ფული გადაიხადონ და ამ გვარად შესდგეს არა წოდებრივი, არამედ საგუბერნიო საკვებავი თანხა, მაგრამ ეს შუამდგომლობა უყურადღებოთ დარჩება, რადგანაც გუბერნატორმა წარმოსთქვა, რომ იმ წლებში, როდესაც მოსავალი კარგი არ იქნება, უმთავრესს საზრდოდ ყოველთვის დამზადებული პური ყოფილა და არა ფულის თანხაო; ამბობენ, რომ უმაღლესს ადმინისტრატიულს წრეებშიც მოსწონთ ეს აზრი.

გაზეთები იწერებიან, რომ იმ შეღავათის გამო, რომელიც ერეტიკოსებს (раскольникъ) მიენიჭათ 5 მაისს გამოცემული კანონით, პროექტი სდგება სამართლის წიგნის იმ მუხლების გარდასახილველად, რომელნიც არ ეშესაბამებიან ამ კანონს.

მოსკოვი. დღეს, ღამის ორ საათზე, გამოაცხადეს განაჩენი მელნიცკების საქმის შესახებ. დამტკიცდა, რომ ბორის მელნიცკი დახმარებია თავის მამას 307 ათასი მანეთის მითვისებაში და გერვოისს, ვალენტინა გეტმანჩუკს და ვერა მელნიცკის დაუმალავსთ ფული; მაგრამ ყველა ესენი გაამართლეს; ელენე ბლეზეს, თოთხმეტის წლის ბარბერე მელნიცკისა და ლევ მელნიცკის მხრივ ფულის დამალვა არ დამტკიცდა. საზოგადოებამ ტაშის კვრით მიიღო განაჩენი, რისგამოც დაითხოვეს იგი სამსჯავროს დარბაზიდამ დაბოლოებითი რეზოლიუციის გამოცხადებამდე.

ვენა. ოფიციალურად ამტყუნებენ იმ ხმებს, ვითომც იმპერატორი რომში აპირებდეს წასვლას.

ბელგრადი. მთავრის ბძანებით ენგლანდელი სკუპშჩინა დათხოვნილ-იქმნა და ახალი 25 იანვრისთვის დაინიშნა.

კაირი. ხედივმა გამოუცხადა ბიუჯეტის კომისიას რომ ფულის დაზოგვისათვის ის ამცირებს თავის საკუთარს და სასახლის ხარჯს.

23 დეკემბერს.

რიო-ჟანეირო. ბრაზილიის იმპერატორის ავად-მყოფობის ამბავი ტყუილია.

24 დეკემბერს.

პეტერბურგი. ამბობენ რომ კომისია სასმელების ვაჭრობისა და გასადებისა გაათავებს თავის სხდომებს იანვრის დამდეგს.

მოსკოვი. გუშინ მოიტანეს აქ გვამი ჟანდარმის პოდპოლკოვნიკის სუდეიკინისა და ნიკოლაევის ვოგზალზე პანაშვიდის გარდახდის შემდეგ გარდაიტანეს კურსკის ვოგზალზე ორლოვის გუბერნიაში წასაღებად.

ვენა გუშინ აქ მოვიდა ვენგრიის მინისტრი პრეზიდენტი ტისსა. ამბობენ ამ მინისტრს უნდა წარედგინოს იმპერატორს წინასწარ განსახილველად რამდენიმე სეიმში შესატანი კანონის პროექტი. ერთ ამ პროექტთაგანს წმინდა სამხედრო ხასიათი აქვს.

ლონდონი. სულდანის იმპერატორის სიძე ცდილობს ხართუმის არე-მარეში აჯანყება მოახდინოს.

## განცხადებანი

—

არწრუნის თეატრი.

სამშაბათს, 27 დეკემბერს.

ბენეფისი

კ. მ. მაჩხიმიძისა

ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

### ავაზაკები

ტრაგედია 5 მოქმედებ. და 8 სურათად. თხზულება ა. ფურცელაძისა. დასაწყისი 8 საათზედ. (3—3)

სასტუმრო «პარიჟი»

სასახლის ქუჩაზე გადავიდა, ახალი პატრონების ხელში, რომლებმაც გააუმჯობესეს სასტუმროს ნაკლულევანებას ყოველის მხრით. ფასი №. 70 კ.—2 მანეთამდი. სასტუმროში შეიძინა საუკეთესო მზარეული თბილისში. ფასი სასმელ-საჭმლისა და სხვ. ძლიერ გაიაფებულია, ზრდილი და მარჯვე მოსამსახურეები ჰყავთ.

ამხანაგები: აზნ. { [illegible]
{ ვ. საყვარელიძე.

(3—3)

სარდაფი კახური ღვინოებისა

### ალაზანი

სოლოლაკის ქუჩა, სახლი № 12, სადგილ-მამულო ბანკის პირ-და-პირ. დღესასწაულებისათვის მიღებულია დიდძალი კახური ღვინოები საუკეთესო ღირსებისა (20 კაპ.—1 მან. ბოთლი უჭურჭლოდ).

(3—3) თავადი ანდრონიკაშვილი.

კახური ღვინის

### პოდვალში

ახლად მივიღეთ მომავალის დღესასწაულებისთვის დიდი პარტია საუკეთესო ღვინოები კახეთის თავადების და გლეხების მამულებიდგან. ისყიდება როგორათაც პარტიით, აგრეთვე წვრილათ ბუთილკა 15 კ-გან ვიდრე 60 კ-მდინ და ვედრო 2 მ. 20 კ-გან ვიდრე 8 მ-მდე თავი ღვინო. აგრეთვე ძველი ღვინოები ბოთლი 60 კ-გან 1 მ-მდე. მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ პირველ მოთხოვნაზედ.

პოდვალი იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ლეჩებნიცის ქვეშ, წინამძღვაროვის შენობაში.

სოლომონ ივანიჩ გურდღელოვი.

(1—1)

დოქტორი კორში.

იღებს ავად-მყოფებს დილის 9 საათიდამ 12-მდე და საღამოთი 5 საათიდამ 7 საათამდე. ავლაბარი, ვარდის მოედანი, (Розовая площадь) სახლი № 3. (3—3)

საპონი.

გლიცერინისა, ნუშისა,ვარდისა, კორბოლოვისა, ლატუშისა, ბრინჯისა და სხვა ბევრი ინგლისის მაღაზიაში. იქვე ოდეკალონი და სხვა ტუალეტის კუთვნილებანი 25% -ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. (12—2)

ინგირის მურაბის ბანკა 85 კაპ., მშვენიერი აპელსინის მარმელადი ქილა (5 გირ.) 1 მან. 30 კ., ტყლაპი ხმისთვის და ხველებისთვის გირვანქა 80 კ., ინდიური ბრინჯი 6 კ., ფინჯნები ლამბაქებითა დუჟ. 2 მ. 40 კ.-დამ, წისქვილები ყავისთვისა 1 მანათიდამ, ბეზმენი სასწორი 1 მან. 25 კ.-დამ, საოჯახო სასწორი 5 მ.-დამ, ინგლისის მაღაზიაში. აქვე იყიდება ძალიან იაფად: ჩაინიკები, ფოდნოსები, პრიბორი და სხვა საქონელი ბრიტანიის მეტალისა, ფანრები, უთოები, უნაგირები; კლეონკები და სხ. მზის საათი და ხელოვნებითი ყვავილები შუშის კოლპაკებით. ნახევარ ფასად იყიდებიან. (8—6)

რადგან კსპობთ ვაჭრობას სასმელებით და სხვათა საქონლით, ამისათვის არა ჩვეულებრივის სიიეფით ვყიდით: კანიაკს, პორტვეინს, ხერესს, შამპანიის ღვინოს და სიგარებს ლონდონის მაღაზინში კამერციულ ბანკის ქვეშ. (10—3)